რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორშაბათი, 19 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები – რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 59 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 59

# შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

## დამყარდა დროებითი ზავი

## ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

**გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!**

**პირველი ნოემბრიდან გაზეთი**

**ბრძოლა**

**გამოდის ყოველდღიურათ.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით ღირს 24 მ.
ნახევარი წლით „ 12 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
შეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ორ ხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 8.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

## რეპრესიები.

კონტრ რევოლიუციის იერიშები უძლური გამოდგა. მან ვერ ჩაახრჩო სისხლში რევოლიუცია, რადგანაც თითონ ის იარაღ-აყრილია, მაშინ როდესაც რევოლიუცია თავით ფეხამდე შეიარაღებულია. მაგრამ მან მოინდომა ღვინოში ჩაეხრჩო რევოლიუციონური ხალხი და ამ გზით გამოეთხარა სამარე მის მოპოებულ უფლებებისთვის.

და აი კონტრ-რევოლიუცია შეუდგა თავის შავ სამუშაოს. პეტროგრადის მეორე და მესამე ხარისხოვან სარდაფებში, სადაც უმეტესათ მდაბიო ხალხი ეტანება, უხვათ გაჩნდა ღვინო და არაყი, რომელსაც მეტათ იაფათ ყიდდენ და მუქთათაც კი ურიგებდენ მსურველთ. წარმოიშვა ალვირ-ახსნილი ლოთობა, რომელსაც შედეგათ მოყვა ცარცვა და გლეჯა ქუჩებში, მტვრევა და განადგურება მაღაზიების და სავაჭროებისა.

აქ აშკარათ სჩანდა კონტრ-რევოლიუციის ოსტატური ხელი, რომელიც დიდ ფულებს ხარჯავდა ხალხის გალოთებისათვის. რევოლიუციონური წესრიგის ნაცვლათ არევდარევა, სიფხიზლის ნაცვლათ [illegible]ლოთობა ზესო დოებრივი ცხოვრების ნაცვლათ ქვეყანა ინსტიქტების გაღვიძება,—აი რით ფიქრობს კონტრ-რევოლიუცია გამარჯვებული ხალხის დამონებას.

მაგრამ აქაც მოსტყუვდენ ხალხის მტრები. რევოლიუციონურმა მთავრობამ საალყო წესები შემოიღო და თავს იდვა სრული წეს-რიგის აღდგენა. მან სასტიკი ომი გამოუცხადა ლოთობას და ცარცვა-რბევას და მტკიცეთ განაცხადა, რომ ტყვიის მფრქვეველებით გაუფრთხილებლათ იქნება დახვრეტილი ყოველი ბრბო, რომელიც ამ საქმეს ჩაიდენსო.

სხვანაირათ არც შეიძლება მოიქცეს მუშების და გლეხების მთავრობა, რომელიც მთელათ შრომის ინტერესებს იცავს და ყოველგვარი მუქთა ხორობის და გარყვნილების წინააღმდეგია. ხალხის მტრები ჯერ ბლომათ მოიპოვებიან, ისინი იარაღ-აყრილი არიან, მაგრამ ახლა ლოთობით და უწესოების გამეფებით ცდილობენ ხალხის მთავრობის დამხობას. მათ წინააღმდეგ აუცილებელია რეპრესიები და რევოლიუციონურმა მთავრობამაც ამ ზომებს მიმართა.

მაგრამ კონტრ რევოლიუცია არ სცხრება. ის წყალ-წაღებულივით ხავსს ეჭიდება. მისთვის ყოველი ზომა გამოსადეგია, რაც გინდ ბინძური იყოს იგი. პროვოკაცია, სიყალბე, ფულით მოსყიდვა,—აი რით ფიქრობს ის ფონს გავიდეს. კადეტების ხელი და ფული მუშაობდა ზემო-აღწერილ ლოთობის წარმოშობაში. მათი ხელით არის დაწერილი და მათი ფულით გავრცელებული პროკლამაცია, რომელიც წარმოადგენს ხალხის მტრების გათახსირების საუცხოვო ნიმუშს.

ეს პროკლამაცია იმ მოსაზრებით არის დაწერილი, რომ თვალი აუხვიოს გულუბრყვილო ხალხს და ვითომ რევოლიუციის ინტერესების დასაცავათ ის რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ აამხედროს.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“,—ასე მოუწოდებენ ხალხს უხილავი კადეტები, რომლებიც პროკლამაციას ხელს არ აწერენ. „ამხანაგებო“— აყალბებენ ისინი თავის შავრაზმულ ენას და უტიფრათ ლაპარაკობენ „განთავისუფლებულ მუშათა და გლეხთა პროლეტარიატზე“ და „მსოფლიო იმპერიალიზმის ბურჟუაზიულ-მემამულეთა ბატონობის დამარცხებაზე“. ისინი „ჩვენს ლენინს და ტროცკის“ უწოდებენ რევოლიუციონური ხალხის ბელადებს, რომლებიც მათ სულით და გულით ეზიზღებათ. პროკლამაციას რევოლიუციონური ლოზუნგებიც არ აკლია. აი რა სიტყვებით თავდება ეს შავრაზმული ფურცელი: „ძირს იმპერიალიზმი და მისი ლაქიები! გაუმარჯოს მუშათა რევოლიუციას და მსოფლიო პროლეტარიატს!“

ყველა ამას სჩადიან კადეტები იმ აზრით, რომ ხალხს თავის თავი ინტერნაციონალისტებათ და ბალშევიკების მეგობრებათ მოაჩვენონ, და ასე ნიღაბაფარებულებმა თავისი მორიგი სიყალბე სინამდვილეთ გაასაღონ. ისინი პროკლამაციაში ცილსა სწამებენ მუშების და გლეხების მთავრობას, ვითომ მის შტაბში გერმანიის აგენტები მუშაობდენ. ჩამოთვლილიც კია გვარები ამ აფიცრებისა, რომ უფრო სარწმუნოთ გახადონ თავისი სიყალბე.

მაგრამ რევოლიუციონური ხალხი ფხიზლათ არის. მან აღმოაჩინა პროკლამაციის ავტორები, მისი გამვრცელებლები და მთელი ამ საქმის შეთქმულთა შაიკა. ესენი არიან კადეტები. ისინი თავისი შავრაზმული პირით ვეღარ ეჩვენებიან ხალხს და პირზე ბალშევიკურ ნიღაბს იფარებენ. რევოლიუციამ შეუბრალებლათ ჩამოგლიჯა მათ ნიღაბი და შეუბრალებლათვე გაასამართლებს. რეპრესიები სავსებით დაიმსახურეს ამ ხალხის მოსისხლე მტრებმა და ნურც ელიან ლმობიერებას!

უეჭველია კადეტების ლაქია გაზეთები და მათ შორის „ერთობაც“ ამ ამბავს დაუმალავენ მკითხველებს. ან კი რა ქნან? როგორ დაგმონ ეს საქციელი, როცა ის ბალშევიკების წინააღმდეგ არის მიმართული; როგორ მოიწონონ იგი, როცა ის აშკარა შავრაზმულ-პროვოკაციულია და კადეტებსაც ხალხის რისხვის მეტი ვერაფერი შესძინა მან. რევოლიუცია სასტიკათ შეებრძოლება თავის მტრებს, ის ყველას ჩამოაფხრეწს გულუბრყვილოთა მოსატყუებელ ნიღაბს და ხალხის უფლებათა დაცვა განმტკიცებაში რეპრესიებსაც არ მოერიდება.

## თოფებითა და ჯინჯილითა.

ქართული ეროვნული საბჭო საქმეს შეუდგა. ის „ქართველ ერისადმი“ მოწოდებას მოწოდებაზე უშვებს, ქუდზე კაცს მოუწოდებს, სერიოზულათ ირაზმება და რაღაცას აპირებს.

რას წარმოადგენს საბჭო და ვის ემსახურება იგი?

საბჭო ეროვნული დაწესებულებაა, გვეუბნებიან მისი სულის ჩამდგმელი მენშევიკ ესერ-ფედერალისტ-ნაციონალ-დემოკრატები. ჩვენ, მარქსისტები, კლასობრივი თვალსაზრისით ვიხილავთ ყოველ მოვლენას და ამ თვალსაზრისით ვწონით ყოველ დაწესებულებას, თუნდ არქიეროვნულიც იყოს იგი. საბჭოს დასახასიათებლათ არ კმარა იმის ცოდნა, რომ საბჭოში მარტო ქართველები სხედან საჭიროა ვიცოდეთ, რა სწადიათ ამ ქართველებს, რამ შეაკავშირა ისინი ამ უჩვეულო ორგანიზაციაში.

უეჭველია მათ აქვთ თავისი მიზანი ყავთ მტრები, რომლების წინააღმდეგ მათ დასჭირდებათ ბრძოლა, ყავთ მოყვრები, რომელთა დარაზმულ ძალაზე საჭიროა დამყარება.

„საქართველოს ეროვნულ საბჭოს“ მართლაც მოეპოვება ყველა ეს სიკეთენი და ეს კი ჩვენ გვიადვილებს მის დაახლოვებით გაცნობას.

„სამშობლოს დაცვა“—აი რა აწერია მის დროშას, ამ ლოზუნგის ქვეშ მეოთხე წელიწადია მთელი ქვეყნის იმპერიალისტები აწარმოებენ ყაჩაღურ ომს და სწორედ დღეს, როდესაც ამ ომს ბოლოს უღებს რუსეთის ძლევა-მოსილი რევოლიუცია, გამოდიან ქართველი მკლე-

მპერიალისტები და ხელში იღებენ ხალხის სისხლში დამპალ დროშას, იმპერიალიზმის დროშას.

ამ „სახალხო“ დროშას თავისი ერთგული ლაშქარი უნდა ჰყავდეს და საბჭოც „დაუყოვნებლივ ქნის“ ძლიერ ეროვნულ ჯარს“, რისთვისაც ის მოუწოდებს, რომ „ყველა ქართველმა მეომარმა საჩქაროთ თავი მოიყაროს ქართულ სამხედრო ერთეულებში“.

რაღა უნდა საქართველოს? ის უკვე აღსდგა: მას ყავს საკუთარი მუდმივი ჯარი. რას დააკლებს მტერი, ვინც უნდა იყოს იგი!

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მუდმივი ჯარი იმდენათ გარეშე მტრის მოსაგერებლათ არ არის საჭირო, რამდენათაც შინაური მტრის შესამუსრავათ, ამ მხრითაც კარგათ აქვს ეროვნულ საბჭოს საქმე. ის ირაზმება შინაური მტრის წინაალმდეგ და ეს მტერია ბალშევიკები.

„ბალშევიკურმა მთავრობამ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკა“—ასეთი ცილისწამებით გამოდის საბჭო ბალშევიკების წინაალმდეგ და მით სავსებით უერთდება რუსეთის შავრაზმულ კონტრ-რევოლიუციონურ ყიჟინას რევოლიუციონური ხალხის წინაალმდეგ. „დარაზმვა ანარქიისა და კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ“—იყო და არის ლოზუნგი რუსეთის ბურჟუაზიისა, რომელიც სწორედ თითონ არის კონტრ-რევოლიუციონური და რომლის ენაზე ანარქიის წინაალმდეგ ბრძოლა ნიშნავს პროლეტარიატის შემუსრვას. ამ ლოზუნგს სავსებით იღებს კონტრ-რევოლიუციის არსენალიდან საქართველოს ეროვნული საბჭოც.

მაშ, ასე. სამშობლოს დაცვა და ბალშევიკების წინაალმდეგ ბრძოლა აკავშირებს ეროვნულ საბჭოში დარაზმულ ქართველებს. ეს ცხადათ სჩანს იქიდანაც, რომ ბალშევიკები არ შედიან ამ საბჭოში. რა უნდათ ბალშევიკებს და რისთვის ებრძვიან მათ?

ბალშევიკებს უნდათ ომის გათავება და ზავის დამყარება, მემამულეთა კლასის მოსპობა და მთელი მიწის მშრომელი ხალხისთვის გადაცემა, კანტროლის დაწესება. მათ უკვე დაამყარე დროებითი ზავი, შესწყვიტეს 40 თვის ხოცვა-ჟლეტა და მალე დააბოლოვებენ საქმეს სამართლიანი ზავის დამყარებით. მათ გამოსცეს დეკრეტები მიწის მშრომელი ხალხისთვის გადაცემისა და წარმოებაზე მუშათა კანტროლის დაწესების შესახებ. მაგრამ გაბატონებული კლასები თავისი ნებით არ სთმობენ თავის უპირატესობას და აუცილებელი ხდება მათთან ბრძოლა. ბალშევიკები საშინელ ბრძოლას აწარმოებენ მემამულეების და ბურჟუაზიის წინაალმდეგ. ბალშევიკები პროლეტარიატის პარტიაა, ის იცავს ქალაქის და სოფლას ღარიბ-ღატაკთა ინტერესებს და ამიტომ მათ ებრძვიან ყველა მდიდრები, მუქთა ხორები და მათი ნასუფრალით გაპომძღარი, ხალხის ორგულნი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ქართველებიც ამიტომ ებრძვიან ბალშევიკებს. ეს საბჭო გაბატონებული კლასების ორგანიზაციაა: იქ არიან წარმოდგენილი მემამულეები და ბურჟუაზია, გენერლები და ჩინოვნიკები და ყველა მათი დამქაში ინტელიგენტები. გაბატონებული კლასები გიჟები ხომ არ არიან, რომ თავისი ნებით შევიდენ ასეთ ორგანიზაციაში, სადაც მათი სასიკეთო საქმე არ გაკეთდება. არა, მათ კარგათ იციან რასაც აკეთებენ. ისინი ებრძვიან მშრომელ ხალხს და ეროვნული საბჭოც ამისთვის უნდათ.

თვალს ნურავის აუხვევს მენშევიკების ყოფნა საბჭოში. მენშევიკებმა უღალატეს მშრომელ ხალხს და სავსებით მიექადლენ გაბატონებულ კლასებს.

რუსეთში ეს პარტია შორს გადისროლა პროლეტარიატმა და უჯარო გენერლებათ დასტოვა. აქ კიდევ აქვთ მათ გავლენა მშრომელ ხალხზე, მაგრამ ამ გავლენას ისინი ბოროტათ იყენებენ და ყველა გაბატონებულ კლასებთან ერთათ ბალშევიკების წინაალმდეგ გააფთრებით იბრძვიან. ეროვნულ საბჭოში იმათ მშვენიერი ნიადაგი ნახეს ბალშევიკებთან საბრძოლველათ. მათ მიატოვეს ინტერნაციონალური დროშა და ნაციონალისტებს შეუერთდენ. დღეს ისინი არაფრით არ განირჩევიან მათგან.

ეროვნული საბჭოს ქართველები ბალშევიკების წინაალმდეგ ირაზმებიან, თუმცა თითონვე აცხადებენ, რომ ბოლშევიკებს ნიადაგი არა აქვთ საქართველოში. არა, ისინი კარგათ არიან მიმხვდარი, რასაც აკეთებენ. კლასობრივი ალღო მათ უტყუვრათ უკარნახებს ასე მოქცევას. ბალშევიკები მათ თავის უდიდეს მტრათ მიაჩნიათ და სრულიათ სამართლიანათაც.

რუსეთში ბალშევიკებმა გაიმარჯვეს და მედგრათ მიისწრაფვიან წინ თავისი მიზნების განხორციელებისაკენ. მათ მხარს უჭერს ღარიბ-ღატაკთა და დაჩაგრულთა კლასი, ის წარმოადგენს მათ ძალას და მათ მეომარ ლაშქარს.

ჩვენც არ გვეფიქრება ჩვენი მომავალი. ჩვენშიაც უმრავლესობა მშრომელი ხალხია, დაჩაგრულთა და გაყვლეფილთა კლასი აქაც გმინავს გაბატონებული კლასის უღელ ქვეშ. ის მალე შეიგნებს თავის ინტერესებს, როგორც ეს მოხდა რუსეთში და მედგრათ გაილაშქრებს ყოველგვარი ბატონობის მოსასპობათ.

ვისა რაზმავს ეროვნული საბჭო? რომელი შეგნებული მუშა დადგება მისი დროშის ქვეშ? რომელი მშრომელი აიღებს იარაღს ბალშევიკების წინ აღმდეგ? თავისიანებს მოუწოდოს მან გაბატონებულთა ინტერესების დასაცავათ, აკურთხოს ისინი თამარის ჯარით, შეაიარაღოს ისინი თოფებითა და ჯინჯილითა. ქართველ მუშებს, გლეხებს და სალდათებს ისეთივე ინტერესები აქვთ, როგორც მთელი რუსეთის მშრომელ ხალხს. რუსეთის მშრომელი ხალხის გამარჯვება ქართველი მშრომელი ხალხის გამარჯვებაც არის. მათ დაშორებას ვერ შესძლებს ეროვნული საბჭო, ისინი არ უღალატებენ ერთმანეთს.

---

## ბრძოლა თავისუფლებისათვის და ზავისთვის რუსეთში.

### წერილი კლარა ცეტკინის *)

რუსეთს ხელმეორეთ შესცქერის ყველა, ვისაც კი სწყურია ზავი მთელ დედამიწის ზურგზე. მხოლოთ დღეს უფრო დიდის გულისფანცქალით ვიდრე პირველში. საერთაშორისო ომის გაჭიანურებამ და გამწვავებამ გააძლიერა ყველა ქვეყნებში ზავისადმი წყურვილი და აი რუსეთის დიადმა რევოლიუციამ მოგვიახლოვა ეს ზავი, როგორც რეალური ფაქტი. მეომარ მხარეებს უნდათ ზავი, ვინაიდან ობექტიურათ ზავი მათთვის საჭიროა.

დღესაც, როგორც თებერვალში, რუსეთის რევოლიუციამ მძლავრათ გაშალა ფრთები. ეს იგივე რევოლიუციაა და იმავე დროს არც იგივეა, ეხლაც რევოლიუციის მესვეურათ გამოდის იგივე პროლეტარიატი სამრეწველოს დიდი ცენტრებისა სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით, რომელსაც მხარს უჭერს გლეხობის მეტი ნაწილი, სალდათები და წვრილი ბურჟუაზია.

მაგრამ სხვა არის მიზანი ახალი რევოლიუციისა, როგორც სხვა არის თვით გზაც ამ მიზნის მისახწევათ, და ამით ის შორს მიდის თებერვლის რევოლიუციიდან. პირველმა რევოლიუციამ იძულებული გახადა რუსის ბურჟუაზია და თავადაზნაურობის ლიბერალი ნაწილი, რომ ეცნო სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც ძალა-უფლების საჭე ერთის ხელიდგან მეორე ხელში გადიტანა. მეტი ჩარა არ იყო, უნდა მოეთმინა მას მეფის ტახტის დანგრევა, რომელიც ისე ერთგულათ იცავდა კაპიტალისტების ინტერესებს. სამაგიეროთ ის, პირველი რევოლიუცია, თავის არსებით იყო რევოლიუცია პოლიტიკურ-ბურჟუაზიული, რომელსაც მიზნათ ჰქონდა უმთავრესათ დაეარსებია რუსეთში უდემოკრატესი რესპუბლიკა მთელ დედამიწის ზურგზე. თქმა არ უნდა, რომ მიზანი თავისთავათ დიადია და ამასთან დიდი ისტორიული მნიშვნელობისაც.

რომ შესაძლებელი ყოფილიყო მსოფლიო ომისგან შექმნილ გარემოებაში და მისგან გამოწვეულ რუსეთის მდგომარეობაში ამ მიზნის მიხწევა, რომელიც მომავალში შექმნიდა საუცხოვო პირობებს პროლეტარიატის ბრძოლისთვის—ამისთვის რუსის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთა, მენშევიკები და მემარჯვენე ესერები შეუერთდნენ არამც თუ წვრილ ბურჟუაზიულ და გლეხურ დემოკრატიას, არამედ ლიბერალ ბურჟუაზიასაც, რომლის გამომხატველათ და მეთაურათ გამოდის კადეტების პარტია. ორივე ეს სოციალისტური პარტიები იმ აზრისანი იყვნენ, რომ დღევანდელი რუსეთის ეკონომიური განვითარება და საზოგადოებრივი სტრუქტურა არ მისცემს ნებას მუშას, მიუხედავათ იმის დიდის სურვილისა, განაგოს და ბატონპატრონობა გაუწიოს იმ მემკვიდრეობას, რომელიც მის ხელში ჩავარდა რევოლიუციის შემწეობით:

ამათი ფიქრით მხოლოთ შეერთებული მოქმედება საზოგადოების ყველა ნაწილისა შესძლებს რევოლიუციის გამარჯვებას და საშუალებას მისცემს განავითაროს ყველა თავისი შემოქმედებითი ძალები.

და აი თებერვლის შფოთიან დღეების შემდეგ დადგა ყვავილების დღეები „დემოკრატიული ძალა-უფლებისა“ რუსეთში, როდესაც თითქმის ერთიანათ მინელდა კლასთა ბრძოლა.

იმ როდესაც უკვე დაიმსხვრა ყველა ძველი პოლიტიკური ბორკილები, რუსეთის საზოგადოების სხვა და სხვა კლასები ერთი მეორის წინაალმდეგ კი არ ალიმართნენ სტიქიონურათ საბრძოლველათ, არამედ—რაც საკვირველ მაგალითს წარმოადგენს ისტორიაში—იწყეს მოქმედება გარმონიულის შეთანხმებით: მგელი კაპიტალისტი და კრავი—პროლეტარი ერთათ სძოვდნენ. დიახ, თითქმის ასე გამოდიოდა და ყველას, ვისთვისაც კი ეს სასურველი იყო, თავისი გულის ნადები რეალურ სინამდვილეთ მიაჩნდა.

პოლიტიკურის მხრივ, თებერვლის რევოლიუციით შექმნილი მდგომარეობა გამოიხატა იმაში, რომ ერთი დროებითი კოალიციონური მთავრობა სცვლიდა მეორეს, მეორე მესამეს და სხ. იცვლებოდენ პარტიული ჯგუფები, პარტიული პირები. მხოლოთ ყველა ამ მთავრობას ორი საერთო თვისება ჰქონდა: შინაური პოლიტიკა მოითხოვდა რევოლიუციონურ დემოკრატიის გაერთიანებას ბურჟუაზიასთან, ხოლო გარეშე პოლიტიკაში რუსეთის კავშირით შეკვრას იმპერიალისტურ დასავლეთ სახელმწიფოებთან; ამ გვარათ, რევოლიუციონურ რუსეთშიაც ბძანებლობდა მსოფლიო იმპერიალიზმი: ერთათ იყო მოქცეული ის, რაც კლასთა შორის ბრძოლაში უნდა ერთი ერთმანეთს დაშორებოდა, და ის კი რასაც მუდმივი ცოცხალი სოლიდარული ძალა ესწრაფის შეაერთოს, ჩამოშორებული იყო ერთმანეთს.

მაგრამ კლასიურ წინაალმდეგობას ხუმრობა არ უყვარს, ბრძენთა „სიდარბაისლე“ ვერ დაჩრდილავს მას, ვერ შეაცდენს გაქნილი პოლიტიკანი, ვერ შეაშინებს მუშტი, და ვერც მოატყუებს „ოქროპირის“ დემოკრატიული დეკლამაცია. კლასიური წინაალმდეგობანი ხანგამოშვებით თავს ამოჰყოფენ ხოლმე ისტორიაში აქა თუ იქა და მძლავრათ წამოაყენებენ თავის უფლებრივ მოთხოვნილებას. აჯანყება, მშიერი ბუნტი, გლეხების უწესოება, ყოველგვარი შევიწროება, მოპოვებულ თავისუფლების შეკვეცა და სხვა მრავალი სიმპტომები მაჩვენებელნი არიან იმისი, რომ თუნდაც ძალიან ბევრს სცდილობდენ „შეთანხმების“ წარმომადგენელნი, მაგრამ კლასიურ წინაალმდეგობებს ისევ კლასთა ბრძოლაში უნდა ეპოვათ გამოსავალი.

რევოლიუციონურ დემოკრატიის კავშირი ბურჟუაზიასთან თანდათანობით, დღითი დღე, კვანძათ იქცა, რომელიც ბორკილათ დაედო ქვეყნის რევოლიუციონურ ძალღონეს. განახლებისა, და საზოგადოებრივი ურთიერთობის უფრო მაღალ პრინციპებზე აგების საქმე ბურუსში ეხვევოდა.

ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა არავითარი საფუძვლიანი რეფორმა არც პროლეტარიატის, არც გლეხების, და არც წვრილ ბურჟუაზიის სასარგებლოთ.

თვით თებერვლის რევოლიუციისგან ნაანდერძევი პოლიტიკური მემკვიდრეობის გამტკიცებაც კი დამფუძნებელი კრების შემწეობით თვეობით იდებოდა. რევოლიუციონური დემოკრატიის მოთხოვნილების სასარგებლოთ, როგორიც არის: ზავი უანექსიოთ, უკონტრიბუციოთ ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე, არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა წინ. რა თქმა უნდა გაბედული ნაბიჯი შექმნილ პირობებში ძნელი უნდა ყოფილიყო, ამ ნაბიჯს შედეგათ არ უნდა მოჰყოლოდა ერთი რომელიმე მებრძოლ ჯგუფის იმპერიალიზმის გაძლიერება მეორის სავალალოდ, რაც გამოიწვევდა დემოკრატიულ განვითარების ნორჩ ყლორტის შემუსვრას „კირასირთა“ რეაქციის ქუსლის შემწეობით. ამგვარი ნაბიჯის გადადგმა უნდა დაფასებულიყო იმ პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, რომელიც მას შედეგათ უნდა მოჰყოლოდა. და სწორეთ ამ თვალსაზ-

---

*) ვბეჭდავთ კლარა ცეტკინას წერილს, რომლიდანაც „ერთობამ“ ის აზრი გამოიტანა, რომ ცნობილი მარქსისტი ქალი ბალშევიკების წინაალმდეგ არის. ჩვენ წინადადება მივეცით „ერთობას“ დაებეჭდა ეს წერილი, რომ მკითხველს თითონ გაერკვია, რამდენათ მართალი იყო ამ გაზეთის მოსაზრება. ამაზე „ერთობამ“ უკბილო ოხუნჯობით გვიპასუხა, რომ ამით დაეფარა ის გაყალბება, რომელიც მან ჩაიდინა ცეტკინას აზრის გადმოღებაში. ქართველი მკითხველი ახლა თითონ ნახავს, რა დოვლათის პატრონათ მიაჩნდა ცეტკინას მენშევიკები და ან როგორი წინაალმდეგია ბალშევიკებისა ეს გერმანელი ბალშევიზმის წარმომადგენელი.

რისით ზავი იყო ის საშუალება, რომელიც დაამარცხებდა ყველა ქვეყნის იმპერიალიზმს და რომელიც შეჰქმნიდა აუცილებელ პირობებს, რომელთა შემწეობით რევოლიუცია მთელს რუსეთს დასერავდა სიგრძე-სიგანით.

მშრომელ მასას ნაღველი უსივდებოდა და სასოწარკვეთილებამდის მიდიოდა, როდესაც ჰხედავდა, რომ როგორც ერთი ისე მეორე მთავრობა განაგრძობდა სისხლის ღვრას იმპერიალიზმის მიზნების მისაღწევათ და ხალხის აუწერელი ტანჯვა-ვაება რჩებოდა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მასის სულიერ განწყობილებაში, მუშათა, სალდათთა, გლეხთა და მათ ორგანიზაციების—მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების — მსოფლ-მხედველობაში ღრმა ცვლილება მოხდა. მათ ნათლად დაინახეს, რომ ბურჟუაზიასთან ხელშეკრულობის გაგრძელება სასიკვდილო ხდება და ამიტომ მდგომარეობა მოითხოვს ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება. ამ სინამდვილის პროცესის გამორკვევაში გაიმარჯვა ბალშევიკების ლოზუნგმა, რომელიც მათ რევოლიუციის პირველ დღესვე წამოაყენეს. საბჭოებში ძალა-უფლება ზომიერ სოციალისტების ხელიდან გადადის რადიკალების, ბალშევიკებში, ის ხელში რომელთაც მხარს უჭერს ებერების მარცხენა ფლთა. რწმენა—ნების-ყოფა და ეს ნების-ყოფა საქმეთ იქცა.

მომავალი ბურჟუაზიული რევოლიუციის აჩრდილი, მისი წინამორბედი ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა ივლისის დღეებში პეტერბურგის პროლეტარიატი ფეხზე დადგა, რათა იძულებული გაეხადა მთავრობა ორივე ფეხებით დამდგარიყო უკვე შემუშავებულ ზავის პლატფორმაზე.

ივლისის მოძრაობამ, სისხლით შეღებილმა, როგორც მეფის ბატონობის დროს, ის ნაყოფი გამოიღო, რომ მთავრობისგან განიდევნენ იმპერიალიზმის წარმომადგენელნი და უფრო მკაფიოთ გამოირკვა ზავის ფორმულა, რომელსაც შეეძლო ბოლო მოეღო დიპლომატიურ თამაშისთვის, ეგრეთ წოდებულ „ფორმულის გარჩევისთვის", რის მეოხებით კითხვის გადაწყვეტა ჭიანურდებოდა; და აი ოქტომბრის დიდი რევოლიუცია ყველას წინაშე წარმოსდგა მთელი თავისი სიგრძე—სიგანით.

პეტერბურგის საბჭომ, ბალშევიკების ლოზუნგით აღფრთოვანებულმა და მათის ხელმძღვანელობით გამოსულმა, პირველმა ააფრიალა დროშა მშრომელთა მასის აჯანყებისა კერენსკის წინააღმდეგ. ყველა საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობამ გამოართვა მას ეს დროშა და გამოაცხადა თავის საერთო ბაირაღათ.

მოკვდა მთავრობა, ის მთავრობა, რომელიც სცდილობდა შეეთანხმებინა რევოლიუციონური დემოკრატია იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან.

ბალშევიკებმა წარმოუდგენელი სიმამაცით შეუტიეს მტერს და მიაღწიეს კიდეც თავიანთ მიზანს. ძალა-უფლება მთლა საბჭოების ხელშია. პროლეტარიატის დიქტატურა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მშრომელი ხალხის დიქტატურა დღეს უკვე ფაქტია, დიახ, მთელი მშრომელი ხალხის დიქტატურა, ვინაიდან დიდი სამრეწველო ცენტრების პროლეტარიატის გარშემო, რომელიც შეადგენს ყველა რევოლიუციონურ ძალთა გამოკვეთილ ქვანძს, შემოიკრიბა გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია, გახვეულნი მუშების ხალათებში და სალდათების ფარაჯებში. რევოლიუციონური იდეალია, რომელსაც ქმნიდა ყველა კლასების შეერთებული ძალღონე, უკვე გაჰქრა. რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უნდა სიძნელით სავსე სამოქალაქო ომში უნდა მოიპოვოს ძალა-უფლება.

(დასასრული იქნება)

## მენშევიკების სიეზდი.

ამ დღეებში პეტროგრადში შესდგა მენშევიკების სიეზდი „ნოვაია ჟიზნში" ოსოკინი ამ ნაირათ ახასიათებს ამ სიეზდს: „მძიმე პირობებში უხდება მუშაობა მენშევიკების სიეზდს. ჯერ კიდევ გუშინ დიდი გავლენიანი პარტია, ესერებთან ერთათ საბჭოების ხელმძღვანელი, პოპულიარული ფართე დემოკრატიის წრეში,—ეხლა ის ათვალიერებს თავის საშინლათ დამარცხებულ ჯარის საცოდავ ნაშთებს იმ გენერალური ძალთა განწყობილების გამორკვევის დროს, რომელიც მოხდა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, მენშევიკები აღმოჩნდენ სრულიათ გაქარწყლებულნი, მხოლოთ ერთი სიმაგრე დარჩა მათ მთლიანათ—ამიერ-კავკასია, მაგრამ კავკასიელებთან ერთად მენშევიკები იქნებიან წარდგენილი დამფუძნებელ კრებაში იმავე ძალებით, როგორც იყვენ სამი ივნისის დუმაში.

ჟორდანია და წერეთლის გამოკლებით, ყველა მენშევიკების ლიდერები,—მარტოვი, დანი, აკსელროდი და პოტრესოვი,—დარჩენ წრეს გარეშე. ამ ნაირათ მახლობელ დიდ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პოლიტიკური მოქმედების ხანაში, რომლის გამომხატველიც უეჭველათ იქნება დამფუძნებელი კრება,—ეს პარტია რჩება ანგარიშიდან მთლიანათ გამორიცხული.

ეს სამწუხაროა, ვინაიდან მენშევიზმი, მიუხედავათ მისი შეცდომებისა და ნაკლულევანებისა, შეადგენს კულტურულ სიმდიდრეს ამ მხრივ მეტათ ღარიბ ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ პოლიტიკაში ადგილი არა აქვს თანაგრძნობას და მადლობას. „პოლიტიკა—ეს ანგარიშია"—ვიმეორებთ ჩვენ ლენინის სიტყვებით. დოქტრინულ-ოპორტუნისტული „ანგარიშის" რუსეთის რევოლიუციის ხასიათის და მისი სოციალურ პოლიტიკური მამოძრავებელი ძალთა განწყობის საკითხში ფატალურათ მიყავდა ოფიციალური მენშევიზმი, „გამარჯვებიდან გამარჯვებამდე", წინსვლის მაგიერ—თვით საშინელ დამარცხებამდე. „რუსეთის რევოლიუცია — ბურჟუაზიულია", ამ განყებული მსჯელობით წერეთელი და დანი აკეთებდენ დასკვნას,—ბურჟუაზიის პროგრესიულობაზე, რომლისგანაც ლოღიკურათ გამომდინარეობდა კოალიციის პოლიტიკა. რთული საერთაშორისო მდგომარეობა რომელშიდაც მიმდინარეობდა რევოლიუცია. ახალი ფაზა (საფეხური) ფინანსიური კაპიტალისა, რომელიც აერთიანებს მთელ ბურჟუაზიულ ქვეყანას და რომელიც ხდის მას ერთ მთლიან რეაქციონურ ძალათ—,ყველა ეს რჩებოდა უყურადღებოთ პოლიტიკაში უსუსურ რევოლიუციონერებისაგან, რომლებიც ხელმძღვანელობდენ 1789 წლის სქემით. კოალიციონურმა გატაცებამ მენშევიზმს დაუკარგა ნდობა, არამც თუ მარტო შემთხვევით მოსულ „თავდაცვის" მოზავეთა შორის არამედ თვით ჩამოყალიბებული პროლეტარიატის შორისაც. მხოლოდ მცირე რიცხოვანი „ძველი გვარდია,—მუშათა არისტოკრატია", შესამჩნევათ ჩამოშორებული მუშათა მასას, დარჩა მენშევიკების წრეში, და ისიც, რაც ძლიერ დამახასიათებელია,—მის მარჯვენა მხარეზე.

რა მიიღეს მენშევიკებმა თავის საკუთარი პოლიტიკის წარმოებაზე ჟარისკოფისთვის? სრულიათ არაფერი. გლეხებზე გავლენის მოპოვებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო ესერების არსებობის დროს თავიანთი „მიწის თილისმით"—სოციალიზაციით. ჯარზე გავლენაც გაიფანტა როგორც კვამლი სავალალო საგარეო პოლიტიკის შემდეგ, რომელიც ნაკანახევი იყო იმავე კავშირის მიერ „პროგრესიულ" ბურჟუაზიასთან.

ამ ნაირათ, მენშევიკებმა რევოლიუციის ცხრა თვის განმავლობაში ვერაფერი შეიძინეს, დაკარგეს კი ყველაფერი—პოლიტიკურ ბრძოლის უნარისგან მოძიდებული მარქსიზმის სიმტკიცემდე"*).

## ბალშევიკების გამარჯვება.

უმთავრეს სახელოსნოში გაიმარჯვეს ბალშევიკებმა მუშათა საბჭოს არჩევნებში. ამ რამდენიმე თვის წინათ სახელოსნოში ბალშევიზმის თანამგრძნობი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, დღეს კი 30 კაციდგან ათი ბალშევიკი გავიდა და ოცი მენშევიკი. აქ იქნება გაიკვირვოს მკითხველმა: ეგ რა ნაირი გამარჯვებაა, როცა უმრავლესობა მენშევიკები გასულაო.

საქმე იმაშია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ აქ ოთხი-ხუთი ბალშევიკი თუ მოიპოვებოდა. და დღეს კი იმათ ირჩევენ საპასუხისმგებლო ალაგას. ეს დიდი ზნეობრივი გამარჯვებაა ბალშევიზმის. აგრეთვე გაიმარჯვა ბალშევიკებმა დეპოსა და ვაგონის პარკში დღემდის აქედგან მუშათა საბჭოში ერთი წარმომადგენელიც არ ყოლიათ ბალშევიკებს, აქედგან არის საბჭოში 18 კაცი; აქამდის სულ მენშევიკები იყვნენ, ახლა კი გავიდა 6 ბალშევიკი და 12 მენშევიკი. ეს დიდი გამარჯვებაა ბალშევიკურ იდეის. დღეს ყველა ხედავს, საითკენ იხრებიან მენშევიკები. უკანასკნელმა მაგათმა რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიისაგან გამოყოფამ და სომხის ბურჟუაზიისაგან. თათრის ბეგებისაგან, ქართველი ნაციონალისტებისაგან მენშევიკებთან ერთათ კომისარიატის შედგენამ და ამ კომისარიატის დასაცველათ მუშების არსენალზე წაყვანამ და მათი არსენალის აღებამ სულ აშკარა ჰყო მენშევიკური სულის კვეთება.

ერთი ამნაირი გამარჯვება კიდევ მენშევიკებისა და მათგან მხოლოთ მოგონებაღა დარჩება, როგორც ეს მოხდა უკანასკნელ დროს რუსეთში.

ეს ბოლო სრულიათ ბუნებრივია. მენშევიზმი დნება საათობით, ბალშევიზმი იზრდება, რაც ნიშანია კლასობრივი გამორკვევის, გამოფხიზლების და შეგნების.

ანზარა.

*( ასეთია გაზ. „ნოვ. ჟიზნის" შეხედულება მენშევიკურ სიეზდზე, ეს გაზეთი, რომლის თვითეულ სიტყვას, მიმართულს ბალშევიკების წინააღმდეგ გაზ. „ერთობა" ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტათ ხმარობს და თავის გულუბრყვილო მკითხველებს ეუბნება: აი შეხედეთ, როგორ ფიქრობს ბალშევიკების— გაზეთიო.—ეს გაზეთი მკაფიოთ აღიარებს, რომ მენშევიზმი სრულიათ გაკოტრდა პროლეტარიატის თვალში და პოლიტიკური ასპარეზიდან საცოდავათ გაირიყაო. ჩვენ ვურჩევთ „ერთობას" „ნოვ. ჟ."-ის ასეთი წერილებიც გააცნოს თავის მკითხველებს.

## ვ ი რ ე ბ ი

ამას წინათ ინგლისურ ენაზე გამოვიდა პატარა წიგნაკი, რომელშიაც სხვათა შორის მოთხრობილია შემდეგი ამბავი.

ერთხელ გერმანელების სანგრებში გამოჩნდა პლაკატი წარწერით:

„ინგლისელები ვირები არიან".

პლაკატის მოწინააღმდეგე მხარემ ტყვიები დაუშინა და ის დახვრეტილი მალე ჩაძვრა სანგრებში.

ერთი წუთის შემდეგ იქვე გამოჩნდა მეორე პლაკატი, რომელსაც ეწერა:

„ფრანგები ვირები არიან".

ამ პლაკატსაც ის ბედი ეწვია, რაც პირველს. ამის შემდეგ იმავე სანგრებიდან აიმართა მესამე პლაკატი წარწერით:

„რუსები ვირები არიან".

ეს პლაკატიც დაუყოვნებლივ დახვრიტეს.

შემდეგ გამოჩნდა მეოთხე პლაკატი რომელსაც ეწერა:

„ავსტრიელები ვირები არიან".

მეხუთე პლაკატზე ეწერა:

„გერმანელები ვირები არიან".

ბოლოს იმავე სანგრებში აღიმართა უზარმაზარი პლაკატი, რომელსაც ამშვენებდა სრული ჭეშმარიტების გამომხატველი წარწერა:

„ჩვენ ყველანი ვირები ვართ".

## დ ე პ ე შ ა

**ტრაპიზონი.** ტრაპიზონის მუშათა საბჭოს დეპუტატების ხელახალ არჩევნებში დიდი უმრავლესობა ბალშევიკები გავიდა. საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ბალშევიკი კვირკველია.

პანკრატოვი.

## რუსეთის ქრონიკა.

მოქალაქე პანინას დატუსაღების მიზეზი.

ამ ამბის გამო გორკიმ თავის წერილში სასტიკი ფილიპიკით გაილაშქრა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რაც გაზეთ ერთობამ, ალბათ ჩვენს საწინააღმდეგოთ ამ დღეებში აღბეჭდა. დატუსაღების მიზეზი კი მკითხველებს დაუმალეს; საქმე შემდეგი იყო. სახალხო განათლების სამინისტროს კასიდან ხსენებულმა მოქალაქე პანინამ გაიტაცა 92,000 მან. და მოიხმარა ის აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ საქმეზე. ამნაირათ მან ჩაიდინა ორგვარი დანაშაული: ერთი გაიტაცა სახალხო ფული და მეორე მოაწყო კონტრ-რევოლიუციონური საქმე. ასეთი პირი მთავრობამ დაატუსაღა და ახლა საგამომძიებლო კომისიის დადგენილებით უფლება ეძლევა სამინისტროს წარუდგინოს საწინდრათ 100,000 მან. და ამ პირობით განთავისუფლდეს.

გონს მოდიან.

ინგლისის ელჩის, ბიუკენენის მიერ მოწვეულ თათბირზე ნეიტრალურ ქვეყნების წარმომადგენლებმა აუცილებლათ სცნეს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა კომისართან, ტროცკისთან საქმის დაჭერა საჭიროა. ამ მიზნით 5 დეკემბერს დილით მათ გაგზავნეს ტროცკისთან მოსალაპარაკებლათ დელეგაცია, რომელშიაც იყვნენ: ინგლისის საელჩოდან კა-

პიტანი შმიდტი, საფრანგეთის-ადგილობრივიელჩი, ბელგიის მხრით მდივანი დიუპრე, ხოლო ნეიტრალურ ქვეყნების წარმომადგენლათ-დანიის მისიის მდივანი. მოლაპარაკება მეტათ მნიშვნელოვან კითხვებს შეეხო.

### კონტრ-რევოლიუციონერები ამიერ კავკასიისკენ მოეშურებიან.

კალედინის მომხრეები, როგორც ჩრდილოეთ-კავკასიიდან მოსული ამხანაგები გადმოგვცემენ, დიდი იმედით შეჰყურებენ ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებელ მთარობას. კალედინის კონტრ-რევოლიუციონური ლაშქრიდან ბევრი გენერალი და ოფიცერი ჩვენი ქვეყნისკენ მოეშურება, რომ აქ მოიპოვოს მყუდრო ნავთ საყუდარი და ძალები მოკრების შემდეგ საჭირო დროზზ ჩრდილოეთი-კონტრ-რევოლიუციონურ რაზმებს მიეშველოს.

### საეჭვო ხმები

ხმებია, რომ პეტროგრადში გერმანიის სამხედრო გენერალურ შტაბის საიდუმლო მისიას მოელიანო, რომლისთვისაც ტროცკიმ საზამთრო სასახლე შეუფერებელ ბინათ სცნოვო.

### დამფუძნებელ კრებაზე.

ბურჟუაზიულ გაზეთებს მოსკოვიდან ატყობინებენ, რომ ბალშევიკური ცენტრალური ორგანო „პრავდა" გადაჭრით მოითდოვს, რომ ხალხის უფლებების უზრუნველსაყოფათ და ამ უფლებების საჩქაროთ განსახორციელებლათ დამფუძნებელი კრების დეპუტატების არჩევნები ხელახლათ დაინიშნოს, ვინაიდან არჩევნები ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენამდე იყო მოწყობილი.

### მთავარ სარდლის განკარგულება.

რუსეთის ჯარების მთავარსარდალმა პრაპორჩიკმა კრილენკომ ბრძანება მისცა, რათა ჯარების ნაციონალიზაცია შეჩერებული იქნას ვინაიდან ამით რუსეთში მოსახლე წვრილი ერების ნაციონალისტური ბურჟუაზია სარგებლობს ჯარებს ფრონტიდან ხსნის და ამნაირათ ფრონტზე არევ-დარევა შეაქვს. მოსალოდნელი ამით გარეშე მტერმა ისარგებლოს და რუსეთი გაანადგუროს. კრილენკო აცხადებს რომ ბრძანებას დროებითი მნიშვნელობა აქვს.

### გაზ. „დენის" დაშთრჩილება.

13 დეკემბერს ღამით გაზ. „დენის" რედაქციაში გამოცხადდა წითელგვარდიის რაზმი და მოითხოვა გაზეთიდან ფასიანი განცხადებების ამოღება, ვინაიდან სახალხო კომისარების საბჭოს დეკრეტით განცხადებების ბეჭდვა აკრძალულია. რედაქციამ მორჩილება განაცხადა.

### ზავზე მოლაპარაკება.

9 დეკემბერს დაიწყო საზავო დელეგაციის სხდომები. გერმანიის მხრით თავმჯდომარეობს გარეშე საქმეთა მინისტრი, კიულმანი, ავსტრიის—გრაფი ჩერნინი, ოსმალეთის—დიდი ვეზირი ნაზი—ბეი და ბულგრეთის მხრით—იუსტიციის მინისტრი პოპოვი. სხდომები ღია და საჯაროა. რუსეთის დელეგაციამ პირველ სხდომაზედვე წაიკითხა თავისი დეკლარაცია დემოკრატიული ზავის პირობებზე და წინადადება მისცა კრებას ამ დეკლარაციის 8 მუხლი შემდეგი მოლაპარაკების საფუძვლათ მიიღოს.

დეკლარაციის წაკითხვის მერე თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, რომ მცირე ხრნით კრება შეწყდეს, რათა დეკლარაციის მუხლები განსაჯონ და პასუხი დაამზადონ.

### ტროცკის განცხადება ზავზე.

ტროცკიმ პეტროგრადში მყოფ შვეციის უკიდურეს სოციალისტს გეკლუნს განუცხადა, რომ გერმანელებმა მიიღეს რუსეთის მოთხოვნა, რომ ჯარები დასავლეთის ფრონტზე არ გადასხას. ამნაირათ სეპარატიული მორიგება სულაც არ ნიშნავს სეპარატიულ ზავს და არც მოხდება ასეთი ზავი, თუ რასაკვირველია ამის თავიდან აშორებას შეთანხმების სახელმწიფოთა მუშებიც ეცდებიან. რუსეთი ვერ გამოემბება კუდში ლლოიდ ჯორჯსა და კლემანსოს. მაშინ ხომ კერენსკის დამხობაც საჭირო არ იყო ჩვენ მორიგების პირობებს დამფუძნებელ კრებას წარუდგენთ განსახილველათ.

### „ჩინოვნიკების" საბოტაჟის ჩასაქრობათ.

„ჩინოვნიკების" საბოტაჟის საწინაალმდეგოთ სამხედრო საქმეთა კომისარმა განკარგულება მოახდინა, რომ ფრონტიდან მოხსნან და გაანთავისუფლონ ბანკების ყველა მოსამსახურენი.

როგორც ეტყობა ამ ზომამ დიდი გავლენა მოახდინა პეტროგრადში ბანკის მოსამსახურეებზე და ნაყოფი გამოიღო,

სახელმწიფო ბანკის მაღალ მოსამსახურეთა საბოტაჟი უკვე გატეხილა და გაფიცული მოსამსახურეები მორჩილებას აცხადებენ. მხოლოთ თხოულობენ რომ ალაგზე მიღებული პირები დაითხოვონ. ასეთი პირების რიცხვი ასამდეა; მათი დათხოვა უხერხულათ სცნო მთავრობამ, ასე რომ გაფიცულმა „ჩინოვნიკებმა". აქაც უნდა დასთმონ.

### დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების ცენტრალური კომისიას 5 დეკემბრამდის შემდეგი ცნობა ქონდა მიღებული არჩევნების მსვლელობისა და შედეგის შესახებ. არჩეულია ჯერ-ჯერობით სულ 346 დეპუტატი. აქედან ბალშევიკი—105, ესერი 122 მენშევიკი—2, კადეტი 11, დანარჩენი პარტიები დ ჯგუფები ყველა ერთათ 36 დეპუტატი. მემარცხენე ესერების ფრაქცია ჯერ-ჯერობით 32 წევრისგან შესდგება. ამ ფრაქციას მიეკედლენ აგრეთვე მუსულმანი გლეხები და პერმის გუბერნიის დეპუტატები. მემარხნე ესერებს იმედი აქვთ, რომ დამფუძნებელ კრებაზე შესამჩნევ როლს შეასრულებენ. ა, ჟამათ ისინი საჭიროთ ცნობენ, რომ დამფუძნებელი კრების შედგენა დაჩქარდეს; ამისთვის მათ სახალხო კამისარების საბჭოს მოთხოვეს, რომ მან განაცხადოს, რომ დამფუძნებელ კრების დაჩქარებით მოიწვევს და კადეტებას დატუსაღება დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებული არაა. საბჭომ ეს მოთხოვნა დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანა.

ესერების ფრაქციაში შესული გლეხები იმ აზრის არიან, რომ ფრაქციები წვრიმალ კითხვებს ნუ გამოეკიდებიან და ბევრში დაუთმონ ერთიმეორეს.

მემარცხენე ესერები ფიქრობენ, რომ ისისი ესერების ცენტრს ადვილათ შეითანხმენ დამფუძნებალ კრებაზე, ვინაიდან კრებას უპირველესათ გასარჩევი და გადასაწყვეტი აქვს მიწის და ზავის საკითხები რაც შეეხება ძალა უფლების საკითხს, ამას მაშინ წამოაყენებენ როცა დამფ. კრება მეტი ავტორიტეტით შეიმოსეია.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**სად. ბალაჯარა.** 26 ნოემბერს დაიწყო არჩევნები დამფუძნებელ კრიბის. ხალხი დროშებით, მარსელიოზის სიმღერით და მუსიკით გაეშურა თავისუფლების მოედნისაკენ. (აქ არის ერთი პატარა ალაგი, რომელსაც ქვია „площадь свободы",) გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო ათასამდე კაცი, უმთავრესათ აქაური რკინის გზის მუშები და ჯარისკაცები. ილაპარაკეს მენშევიკების და ესერების წარმომადგენლებმა. შემდეგ ილაპარაკა ამხ. სვანიძემ. ის მიესალმა კრებას რ. ს. დ მ. პ. ბალშევიკების სახელით და აღნიშნა მნიშვნელობა დამფუძნებელი კრების, მოკლეთ გააცნო რევა თვის რუსეთის რევოლიუციის ისტორია, კოალიციური დროებითი მთავრობა, 25 ოქტომბრის რევოლიუცია, პეტროგრადის ბალშევიკების გამარჯვება, კერენსკის მთავრობის გარეკა და სახალხო კომისარების საბჭოს შედგენა ამხ. ლენინის თავმჯდომარეობით. ამხ. სვანიძემ მოუწოდა კრებას რომ შეკავშირებული ძალით მხარი დაუჭირონ სახალხო კომისარების საბჭოს რომელიც წარმოადგენს ერთათ ერთ რევოლიუციონურ ხალხს. მერმეთ მოუწოდა ხალხს, რომ ხმა მისცეს სიას მე 5 ნომერს. ამხ. სვანიძე ხალხმა ტაშის ცემით დააჯილდოვა.

სად. ბალაჯარაში დამფუძნებელ კრების არჩევნების ხმის მიცემა მოთავდა 2 დეკემბერს. მონაწილეობა მიიღო ხმის მიცემაში 1279 კაცმა. მიუხედავათ იმის რომ სად. ბალაჯარაში ერთი კვირა არის რაც შედგა ბალშევიკური ორგანიზაცია, არჩევნების რიგში მიიღო მეორე ადგილი, პირველმა ნომერმა მიიღო 353 ხმა. მე 2 ნომერმა 77 ხმა, მე 3 ნომერმა 526 ხმა. მე 4 ნომერმა 27 ხმა, მე 5 ნომერმა 221 ხმა. ამათში არ მიულია მონაწილეობა ჯარისკაცებს. იმათ ქონდა ცალკე დადგმული ყუთი. მათგან ხმის მიცემაში მიიღო მონაწილეობა 629 კაცმა. 1 ნომერმა მიიღო 5 ხმა მე 2 ნომერმა—27 ხმა მე 3 ნომერმა 194 ხმა. მე 5 ნომერმა 393 ხმა. სულ სად. ბალაჯარაში მე 5 ნომერმა მიიღო 614 ხმა.

არჩევნები ჩატარდა მშვიდობიანათ.

**ჭალარა.**

### გურიის რამე-რუმე.

ბევრი რამ არის დღეს გურიაში საყურადღებო, როგორც სასიამოვნო ისე სავალალო და სამწუხაროც. როგორც ვიცით, გურია და გურიის ხალხის მოწინავე ადგილი უკავიათ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. გურიის ხალხი თავიდანვე ეტანებოდა სწავლა-განათლებას ეხლა ხომ კიდევ მეტი ენერგია გამოიჩინა. თითქმის ყველა სოფლებში სკოლები გაიხსნა. დამფუძნებელ კრების არჩევნებს ფხიზლათ შეხვდა გურიის ხალხი.

თვითმართველობა ტკბილ ძილს მისცემია, მაგრამ იმედს არ კარგავენ და ამბობენ: „არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავსო". ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ თავის უკმაყოფილებას, გულში ინახავს, ვინაიდან ყველა „კომისარები და პოდკომისარები, თავები—და მათი თანაშემწეები" „ზევიდან" დანიშნულები არიან, და ხომ მოგეხსენებათ გურიის ხალხი „დისციპლინას" მორჩი-ლებაა არის აქ კოოპერატივი, მართალი უნდა ვსთქვათ, ხელმძღვანელი კარგი ყავს, მხოლოთ რა მისი „ბრალია", თუ შიგ საქონელი არ მოიპოვება! აქ არსებობს ინტერპარტიული კლუბი; ლექციებიც იკითხება, მაგრამ უფრო მეტი ოცდა-თორმეტ ფურცლიანი კარტის გარშემო კითხულობენ და მართალი მოგახსენოთ; „ინტერპარტიულათ" თამაშობენ ე. ი, ყველა პარტიის წარმომადგენლები ანუ მენშევიკ-ესერ-ესფერებ-ერ. დემოკრატები. კლუბის თავმჯდომარე, როგორც „ალიონისტი" თავის, მოვალეობას რიგიანათ ასრულებს.

ურჩევთ და მოუწოდებთ მოწინავე გლეხებს და მუშებს და ყველა მათ, ვისაც აინტერესებს საქმე, და არა მარტო სიტყვა, თვით მოჰკიდონ ხელი სახალხო საქმეებს და ნუ დაუკარგავენ მნიმვნელობას მას რისთვისაც ხალხი დიდი ხანია იბრძოდა.

**ხქვინჩა.**

## პროვინციალური ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! თქვენზე ირიცხება ბევრი ვალი გაზეთებისა. უმორჩილესათ გთხოვთ საჩქაროთ გასწოროთ ანგარიში, წინაალმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთების გზავნა შევწყვიტოთ, ვინაიდან ჩვენი გამომცემლობა ფინანსიურათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

საგამომცემლო კოლეგია

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).